საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/204-2007 „25" სექტემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის თანდართული ფიცის ტექსტი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლის ფიცის ტექსტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 აგვისტოს №458 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

2007 წლის 25 სექტემბრის № 1/204-2007

გადაწყვეტილებით

მოსამართლის ფიცი

ღვთისა და ერის წინაშე ვფიცავ, ყოველივეს ვიღონებ, რათა:

- ღირსვმსახურებდე სიმართლესა და სამართლიანობას;
- ერთგულად ვიცავდე ადამიანის უფლებებს, საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს;
- განვსჯიდე უანგაროდ, ცოდნითა და რწმენით;
- ვიყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი;
- პირნათლად ვასრულებდე მოსამართლის მაღალ დანიშნულებას!